

პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს მიერ
2019 წლის 13 დეკემბერი ოქმი N12

თბილისი



1

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ვალდებულებას დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები, უნივერსიტეტის რეპუტაცია და არ დაუშვას პლაგიატის არც ერთი ფორმის გამოვლენა.
2. ამ წესის მიზანია უნივერსიტეტის სივრცეში დანერგოს ურთიერთპატივისცემის, უნივერსიტეტის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რეპუტაციის დაცვის მექანიზმები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, უნივერსიტეტის სივრცეში და მის გარეთ სხვათა ნაშრომის პატივისცემა, რისთვისაც უნივერსიტეტი ქმნის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის, მათზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.
3. პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი ეხება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, მთელ აკადემიურ კორპუსს, რომელიც ვალდებულია გაეცნოს დოკუმენტს და ხელმოწერით დაადასტუროს მასზე თანხმობა და იხელმძღვანელოს ამ წესით; ასევე, საფუძვლიანად იცნობდეს და იცავდეს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „აკადემიური ნაშრომის სტანდარტი“.
4. აკადემიური კეთილსინდისიერება და ეს წესი ეხება გთუნის ფარგლებში შესრულებულ ყველა სახის ნაშრომს, მათ შორის: საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს; წერით დავალებას, პროექტს, ესეს, რეფერატს, ტესტს, წერით გამოცდას და სხვა სახის ნაშრომს, რომელიც არ არის მოხსენიებული.

2

ძირითადი პრინციპები

აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპებია:

1. **ინფორმირება პლაგიატთან დაკავშირებით:** აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წინამდებარე წესის მათთვის გაცნობას და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომობას.
2. **პლაგიატის პრევენცია:** უნივერსიტეტის პრევენციული ზომებია როგორც ინფორმირებულობა, ასევე ორივე საფეხურის სასწავლო კურსებში, მოდულებში პლაგიატის შესახებ სწავლების დანერგვა და შეფასების პროცესში პლაგიატის დაცვის წესების შემოწმება.
3. **პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმი:** პლაგიატის აღმოჩენის მიზნით, უნივერსიტეტი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას, მიმართოს განცხადებით ფაკულტეტს/დეკანეტს პლაგიატის შესაძლო შემთხვევის შესახებ, ასევე ნერგავს სხვა პროცედურებს, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის სივრცეში შექმნილი ნაშრომების შემოწმებას ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამით „URKUND“.

4. **პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები:** უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რეაგირების მექანიზმების დანერგვას, კერძოდ, კომისიის შექმნას, მის მიერ კონკრეტული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას.

ტერმინთა განმარტება

3

აკადემიური კეთილსინდისიერება - აკადემიურ გარემოში სწავლა, სწავლება და კვლევა შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: პატიოსნება, ნდობა, სამართლიანობა, პატივისცემა და ანგარიშვალდებულება.

პლაგიატი (ლათ: Plagiat) - ზოგადად ნიშნავს სხვა ადამიანის ნაშრომის, იდეის, გამოგონების წინასწარგანზრახვით მითვისებას, საკუთარი სახელით სხვისი ნაწარმოების ან მისი ფრაგმენტების გამოქვეყნებას შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე, რაც არაკეთილსინდისიერი საქციელია; ნაშრომში იგულისხმება როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი მასალა (წიგნები, ჟურნალები, ლექციები, თეზისები, სტუდენტური ესეები და პროექტები, ინტერნეტიდან გადმოწერილი ტექსტები, მონაცემები და წყაროები), როგორც ხელნაწერი, ასევე, ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. მასალა შეიძლება იყოს როგორც ტექსტი, ასევე ვიდეო-აუდიო ფაილები, კომპიუტერული კოდი, ილუსტრაციები, გრაფიკები და ა.შ. პლაგიატი ეწინააღმდეგება გთუნის ღირებულებებსა და ეთიკის კოდექსს; როგორც წინასწარგანზრახული, ასევე, უნებლიე პლაგიატი დასჯადი ქმედებაა.

ტექსტის ორიგინალობა - უნიკალური ელემენტების (სიტყვების, ფრაზების) რაოდენობის თანაფარდობა ტექსტის ყველა ელემენტთან.

ანტიპლაგიატი - დოკუმენტების შემოწმების საინფორმაციო სისტემა უკვე გამოქვეყნებული წყაროების არამართებულად გამოყენებაზე.

პლაგიატის სახეები

4

1. **შემთხვევითი, გაუცნობიერებელი პლაგიატი** - პლაგიატი, როდესაც პირმა არ იცის რა არის პლაგიატი და შესაბამისად ვერ აცნობიერებს ავტორის მითითების, მისი დამსახურების აღიარების აუცილებლობას, არ იცის, რომ ანალოგიური ნაშრომი არის სხვის მიერ შესრულებული ან/და შემთხვევით გამორჩა ავტორის მითითება.
2. **წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი/დაუდევრობით პლაგიატი** - პლაგიატი, როდესაც პირი კარგად იცნობს პლაგიატის არსს, მაგრამ მიუხედავად ამისა ნაკლებ ყურადღებას აქცევს შესაბამისი წესების დაცვას და რიგ შემთხვევებში არ ზრუნავს ამ წესების დაცვაზე.
3. **გამიზნული/მიზანმიმართული პლაგიატი** - პლაგიატი, როდესაც პირმა იცის და გაცნობიერებული აქვს პლაგიატის არსი, თუმცა სარგებლის მიღების მიზნით, გააზრებულად არღვევს წესებს. სარგებელი შეიძლება იყოს: ქულა, აკადემიური ხარისხი, პუბლიკაცია, აღიარება ან/და მატერიალური სარგებელი.

1. **სრული პლაგიატი** - სხვისი ნაშრომის წარდგენა საკუთარ ნაშრომად. ამ ნაშრომის მიღების სხვადასხვა გზები: სხვისი ინტელექტუალური საკუთრების ყიდვა ავტორისგან ან/და სააგენტოსგან, როგორც მათი ნებართვით, ასევე ნებართვის გარეშე; ნაშრომის თხოვნით შესრულება ლექტორის, კოლეგის, მეგობრის, ნათესავის ან და სხვა ახლობელი ადამიანის მიერ. ამ ტიპის პლაგიატი ასევე ცნობილია contract cheating-ის სახელწოდებით.
2. **სიტყვა-სიტყვით პლაგიატი (clone)** - სხვისი ნაშრომიდან გარკვეული ტექსტის გამოყენება საკუთარ ნაშრომში უცვლელად (სიტყვა-სიტყვით), ამ ტექსტის ბრჭყალებში ჩასმისა და ავტორის მითითების გარეშე
3. **კოპირება და ჩასმა** - სხვისი ნაშრომიდან გარკვეული ტექსტის გამოყენება საკუთარ ნაშრომში მცირე ცვლილებით (რამდენიმე სიტყვა), ამ ტექსტის ავტორის მითითების გარეშე.
4. **პარაფრაზირებული პლაგიატი** - სხვისი აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე.
5. **მოზაიკური პლაგიატი** - მოზაიკური პლაგიატისას სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;
6. **თვითპლაგიატი** - საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად;
7. **„კოსმეტიკური“ ცვლილებები** - პირველწყაროს ტექსტის მცირედი ცვლილებები (მაგალითად, რამდენიმე სიტყვის ან წინადადების წყობის შეცვლა აზრის შეუცვლელად) ავტორის მითითების გარეშე;
8. **არანებადართული თანამშრომლობა** - ნაშრომის შემუშავებაში, წესების დარღვევით ჩართულია სხვა პირ(ებ)ი და არ არის მითითებული ამ პირ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ნაწილი.
9. **თარგმანი** - სხვისი ნაშრომის თარგმნა წყაროების მითითების გარეშე.
10. **მიღებული დახმარების უარყოფა** - ნაშრომში არ არის აღნიშნული და აღიარებული სხვისგან მიღებული ისეთი დახმარება (იდეა, მოსაზრება და ა.შ.), რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის შესრულებაში.
11. **იდეის პლაგიატი** - სხვისი იდეის გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე.
12. **არაკორექტული ციტირება** - წყაროს მიუთითებლობა, ტექსტში, წყაროს არასრული ჩამონათვალი ბიბლიოგრაფიაში, მეორეხარისხოვანი წყაროს არასწორი მითითება ტექსტში, ციტირების მოცულობის დარღვევა.
13. **არარსებული წყაროების მითითება** - არარსებული წყაროს გამოგონება და მისი მითითება ნაშრომში.
14. **გარდა ჩამოთვლილისა, სტუდენტის შემთხვევაში პლაგიატად აგრეთვე მიიჩნევა: გადაწერა ან მისი მცდელობა; დამხმარე მასალის/მოწყობილობის გამოყენება ან მისი მცდელობა, თუ აღნიშნული არ არის ნებადართული შესაბამისი სასემინარო/საგამოცდო დავალებითი აღწერილობით.**

1. უნივერსიტეტის ვალდებულებაა, იყოს მის ფარგლებში ან მისი სახელით ჩატარებული საგანმანათლებლო და კვლე
2. ვით პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის გარანტი, უზრუნველყოს პლაგიატის შესახებ სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და შესაბამისად, პლაგიატის პრევენცია.
3. პერსონალის და სტუდენტთა ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციის ღონისძიებებია:
 - 1) აღნიშნული წესის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ვებ-გვერდზე გამოქვეყნება და მისი ამოქმედება;
 - 2) უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმების მომენტში პლაგიატის შესახებ წესის სავალდებულოდ გასაცნობ დოკუმენტად მოთხოვნა;
 - 3) საინფორმაციო შეხვედრების, სპეციალური ვორქშოფების, ტრენინგების ორგანიზება;
 - 4) პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად ე.წ. „პლაგიატის კომისიის“ შექმნა;
 - 5) პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაციის სილაბუსებში და სტუდენტების მიმდინარე დავალებების შეფასების წესებში, აგრეთვე, სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესებში ასახვა;
 - 6) აკადემიური წერის კურსის ეფექტიანობის გაზრდა;
 - 7) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტის აკადემიური კეთილსინდისიერების მონიტორინგი;
 - 8) კოლეგიალური შეფასების მექანიზმების გააქტიურება.

1. პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმებია ლექტორის, ნაშრომის ხელმძღვანელის, რევენუენტის დასკვნა და ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა.
2. უნივერსიტეტში შექმნილი ყველა ნაშრომი (საბაკალავრო/სამაგისტრო, კვლევა, სტატია, პუბლიკაცია, მოხსენება, მონოგრაფია, სახელმძღვანელო) უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურაში საბოლოო სახით წარდგენის მომენტიდან ერთი კვირის ვადაში, სავალდებულო წესით, იგზავნება ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამით შესამოწმებლად, რასაც უზრუნველყოფს ფაკულტეტი/კათედრა სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო განყოფილებასთან ერთად.
3. პლაგიატის შემთხვევის აღმოჩენისა და დაფიქსირების მომენტიდან გთუნი მიუკერძოებლად შეისწავლის საკითხს და გამოიტანს ობიექტურ დასკვნას.

4. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე სალექციო კურსის შეფასების ფარგლებში შექმნილ წერით დავალებაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სასწავლო კურსის ლექტორი უფლებამოსილია, შეფასების გარეშე, საკუთარი გადაწყვეტილებით, გააუქმოს ნაწერი და ამის შესახებ აცნობოს ფაკულტეტის დეკანატს.

5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომში არსებული პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, აღმომჩენი პირი ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს ფაკულტეტის დეკანს.
6. აკადემიური პერსონალის მხრიდან ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, განმცხადებელი 3 დღის ვადაში მიმართავს რექტორს.
7. ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის მიერ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომებში, ტექსტური თანხვედრის დაფიქსირების შემთხვევაში, თემის ხელმძღვანელი ახდენს შემოწმებას და ამზადებს ანგარიშს ნაშრომში პლაგიატის შესახებ. თუ ნაშრომში არ აღმოჩნდა პლაგიატი, ამის შესახებ ხელმძღვანელი თავის დასკვნაში აკეთებს ჩანაწერს.
8. თუ საბაკალავრო/სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის ანგარიში ადასტურებს პლაგიატს, ავტორს უფლება აქვს გაითხოვოს ნაშრომი გადასამუშავებლად. გამოთხოვილი ნაშრომის გადამამუშავებული ვარიანტის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ სემესტრში.
9. ერთი და იგივე ნაშრომის შემოწმება პლაგიატის არსებობაზე ხდება არაუმეტეს ორჯერ.



ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა

1. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურას ახორციელებს „საქართველოს საბიბლიოთეკო ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017“ (ხელშეკრულება N 2019-05/19. 13.05.2019).
2. **კონსორციუმი:**
 - 1) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ელექტრონული არქივის (რეპოზიტორიუმის) შექმნას, ნაშრომების ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმებას;
 - 2) პასუხისმგებლობას იღებს გადაცემული ნაშრომების ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით;
 - 3) იღებს ნაშრომების ფაილებს (MS Word ფორმატში), აკონტროლებს მათ ტექნიკურ ფორმატს (ფაილის ფორმატი, შრიფტი, მეტა-მონაცემების სისწორე და სისრულე) და ხარვეზების შემთხვევაში, გასასწორებლად უბრუნებს უნივერსიტეტს;
 - 4) გადააგზავნის ნაშრომს ანტიპლაგიატის სისტემაში (URKUND) და სისტემიდან მიღებულ დასკვნას რაიმე ცვლილების გარეშე უგზავნის უნივერსიტეტს.
3. **უნივერსიტეტი:**
 - 1) გადასცემს კონსორციუმს სტუდენტებისა და თანამშრომლების ნაშრომების ფაილებს (MS Word ფორმატში, Sylfaen უნიკოდი) და მათ აღწერილობას (მეტა-მონაცემები);
 - 2) აძლევს კონსორციუმს უფლებას, მოათავსოს ნაშრომები განუსაზღვრელი ვადით ელექტრონულ არქივში და გამოიყენოს ისინი სხვა ნაშრომებთან შესადარებლად;
 - 3) უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ კვლევითი ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები იყოს იდენტური. ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების შეუსაბამობის შემთხვევაში, ავტორს ეძლევა 5 (ხუთი) სამუშაო დღე შესასწორებლად და შესწორებული ვერსიის წარსადგენად. თუ ავტორმა ვერ მოასწრო ნაშრომის წარდგენა ამ ვადის ამოწურვამდე, მისი ნაშრომი გამოქვეყნების ან დაცვის შემდეგ ეტაპებზე არ დაიშვება.
4. წარდგენილი სამუშაოს სხვა ნაშრომთან ან სხვა ნაშრომებთან მსგავსების შესახებ დასკვნა, რაც წარმოადგენს URKUND საიტზე გამოტანილი მიღებული შედეგის ამონაბეჭდს.

5. პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება ნაშრომის ორიგინალობის შესამოწმებლად. ის ნაშრომის ტექსტს ადარებს პროგრამის ბაზებში არსებულ ინფორმაციას, ამოწმებს თანხვედრას ამ მასალებთან და გვიჩვენებს თანხვედრის პროცენტულ მაჩვენებელს, რაც გამოაქვს ანგარიშის სახით.
6. პროგრამა არ ადგენს პლაგიატს, ის მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტია პლაგიატის შესაძლო შემთხვევების აღმოსაჩენად და მისი პრევენციისთვის. პლაგიატის დასადგენად საჭიროა URKUND - ის მიერ წარმოდგენილი დასკვნების გაანალიზება ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის, წყაროებზე მითითებების შემოწმება და მხოლოდ ამის შემდეგ დადგენა, აქვს თუ არა ადგილი პლაგიატს.

10

ნაშრომის ორიგინალობა

1. **ნაშრომი ორიგინალურად მიიჩნევა, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:**
 - 1) გთუნიში, აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, ნაშრომები უნდა შეიცავდეს არანაკლებ 75% ორიგინალურ ტექსტს;
 - 2) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისათვის ორიგინალური ტექსტის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 70%-სა;
 - 3) სახელმძღვანელოსთვის ორიგინალური ტექსტის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 60%-სა.
2. **არ შეიძლება პლაგიატად ჩაითვალოს:**
 - 1) დაწესებულებების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ნორმატიული სამართლებრივი აქტების დასახელებები, კანონიდან ამონარიდი;
 - 2) გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;
 - 3) მყარი სიტყვათშეთანხმებები, დარგობრივი ტერმინები, ტექსტის კორექტული ციტირება, დოკუმენტებიდან ამონარიდი მათი გაანალიზების მიზნით,
 - 4) თვითციტირება
 - 5) საყოველთაოდ ცნობილი ჭმმარიტებები.

11

პლაგიატის დადასტურება და შესაბამისი რეაგირება სტუდენტთან დაკავშირებით

1. ნაშრომი, რომელმაც გაიარა შემოწმება ანტიპლაგიატის სისტემით, სადაც დაფიქსირდა მაღალი თანხვედრა სხვა წყაროსთან/წყაროებთან, შეიძლება ხელახლა გადამუშავდეს ავტორის მიერ (ხელმძღვანელთან ერთად) არაუმეტეს 10 დღის ვადაში.
2. თუ გადამუშავების შემდეგ თანხვედრის პროცენტი (წილი) კვლავ აჭარბებს ამ წესის მე-10 პუნქტით დადგენილ ნორმებს, ფაკულტეტი თანდართულ მასალებს გადასცემს პლაგიატის კომისიას, რომელიც, დეკანის წარდგინების საფუძველზე, იქმნება რექტორის ბრძანებით.
3. კომისიაზე მოწვეულია ნაშრომის ავტორი თავისი პოზიციის წარმოსადგენად. პოზიციების შეჯერების შედეგად პლაგიატის კომისია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პლაგიატის არსებობის/არარსებობის შესახებ.
4. პლაგიატის არსებობის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით უქმდება ნაშრომი (შეფასებით F) და ოქმი დისციპლინური პასუხისმგებლობისთვის გადაეგზავნება რექტორს. რექტორის ბრძანებით

დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ გამოყენებული იქნება გოუნის სტუდენტის ეთიკის კოდექსი ან კანონით გათვალისწინებული რომელიმე სანქცია.

5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით.
6. ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების შედეგი, სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა, ასევე კომისიის დასკვნები, ან ექსპერტთა დასკვნები (საექსპერტო შემოწმების შემთხვევაში), ინახება კათედრაზე ნაშრომთან ერთად, შმდეგ კი გადაეცემა არქივს.

პლაგიატის დადასტურება და შესაბამისი რეაგირება აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით

12

1. ნაშრომი, რომელმაც გაიარა შემოწმება ანტიპლაგიატის სისტემით, სადაც დაფიქსირდა მაღალი თანხვედრა სხვა წყაროსთან/წყაროებთან, შეიძლება ხელახლა გადამუშავდეს ავტორის მიერ (ხელმძღვანელთან ერთად) ავტორის მიერ ერთი თვის ვადაში.
2. თუ გადამუშავების შემდეგ თანხვედრის პროცენტი (წილი) კვლავ აჭარბებს ამ წესის მე-10 პუნქტით დადგენილ ნორმებს, ან/და ადგილი აქვს იდიის მითვისებას, თუნდაც ადგილი არ ჰქონდეს ტექსტობრივ თანხვედრას, ფაკულტეტი თანდართულ მასალებს გადასცემს პლაგიატის კომისიას, რომელიც დეკანის წარდგინების საფუძველზე, იქმნება რექტორის ბრძანებით.
3. კომისია დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ასევე, შესაძლებელია გარეშე პირებიდან.
4. ნაშრომის ავტორი თავისი პოზიციის წარმოსადგენად მოწვეულია კომისიაზე პოზიციების შეჯერებისა და საქმეში გარკვევის შემდეგ, პლაგიატის კომისია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პლაგიატის არსებობის/არარსებობის შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
5. კომისიის დასკვნა შეიძლება იყოს ერთ-ერთი ქვემოთ მოცემულთაგან:
 - 1) ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება უმნიშვნელოა და არ შეიცავს პლაგიატს. ამრიგად, ნაშრომი ორიგინალურია და მიიღება დასაბეჭდად;
 - 2) წარმოდგენილი ნაშრომის ტექსტის მსგავსება სხვა ნაშრომებთან არ შეიცავს პლაგიატს, მაგრამ ნაპოვნი ციტატების რაოდენობა აღემატება დადგენილ ნორმას (%-ს). ამრიგად, საჭიროა წარმოდგენილი ნაშრომის კორექტირება;
 - 3) გამოვლენილია იდეების გააზრებული მითვისება, ტექსტების მსგავსება, არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, ამრიგად, ეს ჩათვლილია პლაგიატად და არ დაიშვება დასაბეჭდად;
 - 4) სამეცნიერო ნაშრომი შეიცავს ტექსტურ დამახინჯებებს, როგორც მსგავსების დაფარვის სავარაუდო მცდელობას, ამრიგად, ნაშრომი არ დაიშვება გამოსაქვეყნებლად.
6. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, მისი მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის საბოლოო დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს აკადემიური პერსონალის პრესტიჟს.
7. დარღვევის ფაქტის საბოლოო და უტყუარი დადასტურების შემთხვევაში, კომისიის დასკვნა ეცნობება როგორც დამრღვევ პირს, ასევე, საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევის პროექტის

სპონსორს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს, სარედაქციო საბჭოს და ა.შ.); დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დისციპლინური სანქციები:

- 1) ავტორს მიეცეს გაფრთხილება;
- 2) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;
- 3) გათავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან.
8. ანტიპლაგიატით შემოწმების შედეგი, ასევე კომისიის დასკვნები, ან ექსპერტთა დასკვნები (საექსპერტო შემოწმების შემთხვევაში), ინახება სამეცნიერო-კვლევით პროექტთან/ ნაშრომთან ერთად კატორაზე, შმდგომე გადაეცენმა არქივს.
9. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტი აამოქმედებს ყველა მის ხელთ არსებულ მექანიზმს პირის სამეცნიერო რეპუტაციის აღსადგენად.
10. თუ ავტორი არ ეთანხმება ანტიპლაგიატის სისტემით მიღებულ უარყოფით შეფასებას და კომისიის დასკვნას, უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

1. ეს წესი ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.
2. მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ამ წესის დამტკიცებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 23 მარტის №01-01/19 ბრძანებით დამტკიცებული „პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების წესი“.

განცხადება

მე -----(სახელი , გვარი), (თანამდებობა)-----
ვაცხადებ, რომ ჩემი --- (ნაშრომის სახელწოდება)----- თემაზე -----
რომელიც წარდგენილია დაცვისათვის/საჯარო პუბლიკაციისთვის, არ შეიცავს პლაგიატის
ელემენტებს და ორიგინალურია. სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია
დადგენილი წესით, კვლევის მეთოდებით მუშაობისას დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების
ნორმები. ყველა გამოყენებული ნაბეჭდი და ელექტრონული წყარო მითითებულია დადგენილი
წესით. ვადასტურებ, რომ გავეცანი გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესს“ და
ინფორმირებული ვარ, პლაგიატის შესაძლო აღმოჩენის შემთხვევაში, სანქციების შესახებ.

ხელმოწერა :-----

თარიღი:-----